



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“აგრარული ეკონომიკა”  
დოქტორანტურა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 04.06.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 18.06.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ეკონომიკა Agricultural Economics
განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ეკონომიკის დოქტორი Doctor in Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ეკონომიკა 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი-60 კრედიტი პროგრამის ხანგრძლივობა-არანაკლებ სამი წელი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული ერთი წლის ვადით (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 4 მაისის № 361579 გადაწყვეტილება)

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ია ნაცვლიშვილი</b> სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>მარინა ჩავლეიშვილი</b> სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>მანანა კველიშვილი</b> სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ანჟელა აბულაძე</b> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ) 2014 წელს შეიქმნა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, სადაც ხორციელდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“. სტუ-ის აკადემიურმა საბჭომ პროგრამა დაამტკიცა 2014 წელს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 18 მარტის № 39 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მაისის №1525 დადგენილების საფუძველზე. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) შეიცვალა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2016 წლის 24 თებერვლის აკადემიური საბჭოს დადგენილება №1939-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები და გაიზარდა დამოუკიდებელი მუშაობის საათები. ასევე, შეიცვალა სტუ-ის კრედიტების განგარიშების წესი და 27 საათის ნაცვლად გახდა 25 საათი. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „აგრარული ეკონომიკა“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 04 მაისის №361579 გადაწყვეტილებით 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ბოლო აკრედიტაციიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა არაერთი ცვლილება: ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისად დაზუსტდა და დაკონკრეტდა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები; დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო, მომზადდა ახალი სასწავლო კურსები, განახლდა და გადამუშავდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ სამი წელი. პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან, რომელიც მოიცავს 60 ECTS. სასწავლო კომპონენტში შედის სავალდებულო (55 ECTS) და არჩევითი კურსები (5 ECTS). კვლევითი კომპონენტი მოიცავს: პროექტს/პროსპექტუსს, სამ კოლოქვიუმს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვას. კვლევითი კომპონენტისა და მთლიანად პროგრამის შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომი - დისერტაცია, რომელიც სრულდება საჯარო დაცვით. დისერტაციის საჯარო დაცვამდე დოქტორანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია და წარდგენილი ჰქონდეს მოხსენება მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 4 ივნისს, 10:00 საათიდან. COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ვიზიტი განხორციელდა ონლაინ, zoom პლატფორმის გამოყენებით. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ ინტერვიუებში მონაწილეობდნენ:

- უსდ-ს ადმინისტრაცია: რექტორის მოადგილე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსი, სტუ-ის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;

- თვითშეფასების ჯგუფი: ფაკულტეტის დეკანი , აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, ფაკულტეტის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, პროგრამის თვითშეფასებაში ჩართული მხარეები-პროფესორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები;
- პროგრამის ხელმძღვანელი;
- ფაკულტეტის და სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები/წარმომადგენლები;
- სადისერტაციო საბჭოსა და დისერტაციის დაცვის კომისიის წარმომადგენლები;
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეები-პროფესორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები;
- სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები;
- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი/წარმომადგენლები.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) ადგილზე დათვალიერება. შესაბამისად, აღნიშნული რესურსების შესწავლა/ინფორმაციის დაზუსტება მოხდა მოწოდებული დოკუმენტაციისა (მათ შორის ვიდეო/ფოტო მასალის) და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	შესაბამისობა
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## ▪ რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს

### • რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### ქვესტანდარტი 1.2

- სასწავლო კურსის სილაბუსებში და პროგრამაში გამოყოფილ იქნას ცალკე-ცალკე ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
- მოხდეს სადოქტორო პროგრამის პირველი სწავლის შედეგის სტილისტური კუთხით ცვლილება ბლუმის ტაქსონომიიდან შესაბამისი ზმნის გამოყენებით.

#### ქვესტანდარტი 2.2

- პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი კურსები მიკრო და მაკრო ეკონომიკის კუთხით.

#### ქვესტანდარტი 2.3

- სილაბუსებში აისახოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ინტერაქტიული პრაქტიკული მეცადინეობები.
- საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტ სასწავლო კურსში მოხდეს დარგში სამეცნიერო შრომების მითითება.

#### ქვესტანდარტი 2.4

- სავალდებულო გახდეს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება Scopus-ში ან Web of Science -ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში/კონფერენციათა მასალების კრებულში.

#### ქვესტანდარტი 4.1

- პროგრამა პერსპექტივაში გაძლიერდეს მოწვეული პერსონალით, რაც უფრო მეტად გაამდიდრებს პროგრამას.

#### ქვესტანდარტი 4.2

- პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა მოახდინოს სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა.

## ▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია სიახლეების შესახებ. ასევე, შესაძლებელია ლექციების განრიგის მოძებნა და სურვილის შემთხვევაში, მათი ავტომატური შეხსენება. გარდა ამისა, ელექტრონული ჟურნალის აპლიკაცია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სწრაფ გაცნობასა და სასწავლო კურსის პედაგოგთან შეტყობინების საშუალებით კომუნიკაციის დამყარებას.
- საბონუსე სისტემა პერსონალის წახალისებისთვის, კერძოდ, უნივერსიტეტში შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები ახდენენ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის შეფასებას და დაგროვილი ქულების შემთხვევაში გაიცემა ბონუსი (სახელფასო დანამატი).
- საინფორმაციო შეხვედრები და ტრეინინგები სწავლების ყველა საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის მიზანია აგრარული ეკონომიკის დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი, მაღალტექნოლოგიური აგრარული მეურნეობის ფორმირებისა და განვითარებისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების, პედაგოგებისა და მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ: თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მეთოდოლოგიის გამოყენებით მიიღონ ეფექტიანი ეკონომიკურ-ეკოლოგიური გადაწყვეტილებები აგრარული წარმოების ზრდისა და აგრომეწარმეობაში შექმნილი პრობლემების სფეროში, ოპტიმალური აგროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რეგიონების და სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებასა და მიწის რესურსების რაციონალურ მართვას.

პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის მიზნების დაწესებულების მისიასთან შესაბამისობის რუკაც. სადოქტორო პროგრამის ზემოთ აღნიშნული მიზანი თანხვედრაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან. სტუ-ს მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღსანიშნავია, რომ აგრარულ სექტორში ღრმად გაცნობიერებული და მაღალკვალიფიციურებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე მკვლევარი ეკონომისტების მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, განსაკუთრებით იმ ფონზე,

**როდესაც აგრარული სექტორი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და მიჩნეული.** ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარი და დარგის სპეციალისტი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ეფექტურად იმპლიმენტაციას და, ზოგადად, აგრარული სექტორის ფორმირებასა და სრულყოფას, რეგიონებისა და სასოფლო ტერიტორიების განვითარებას, მიწის რაციონალურ მართვას, რომლის დეფიციტიც იგრძნობა საქართველოში. ამრიგად, პროგრამის შეთავაზების მიზეზია აგრარული ეკონომიკის დარგის თანამედროვე გამოწვევები, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, აგრარულ სექტორში მეწარმეთაგან მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე სასწავლო კურსები შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტმა შეისწავლოს და განახორციელოს: აგრო-სასურსათო სექტორის მდგომარეობის პროგნოზირება, მისი შემდგომი განვითარება და მოამზადოს წინადადებები სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სრულყოფის შესახებ; სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის კრიტიკული გაანალიზება ქვეყნისა და რეგიონის დონეზე, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის დიფერენცირება; მიწის კლასიფიცირება კატეგორიებისა და დანიშნულების მიხედვით, სოფლის ინსტიტუციონალური და სოციალურ-კულტურული პრობლემების იდენტიფიცირება; რეკომენდაციების შემუშავება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტისათვის; დეპრესიული რეგიონების აგროსპეციალიზაციის გაღრმავებისა და განვითარების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის, განვითარების ახლებური მიდგომების შემუშავება; წინადადებების მომზადება სოფლისა და თემის სტატუსის, სოფლად მუნიციპალური (სათემო) საკუთრების და სოფლის მეურნის სტატუსის შესახებ; მიწის რაციონალური გამოყენებისა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მართვის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; მიწათსარგებლობის მონიტორინგის სქემების განავითარება, მათი ოპტიმიზაცია და მიწის კადასტრისა და მიწის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად ინოვაციურ მეთოდების გამოყენება.

პროგრამის მიზნის შემუშავებისას გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა (2020 წლის 04 მაისი) და 2020 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „აგრარული ეკონომიკა“ განხორციელდა არაერთი ცვლილება, მათ შორის: ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისად დაზუსტდა და დაკონკრეტდა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები; დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო, მომზადდა ახალი სასწავლო კურსები, განახლდა და გადამუშავდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი. ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა პროგრამის სტრუქტურაში, კერძოდ: სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატა პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი), აგრარული ეკონომიკა- თანამედროვე ტენდენციები (5 კრედიტი), ინსტიტუციური ეკონომიკა (10 კრედიტი). გარდა ამისა, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) შეიცვალა სასწავლო კურსით "კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" (6 კრედიტი), "სწავლის მეთოდები და განათლების მენეჯმენტი"(6 კრედიტი) შეიცვალა სასწავლო კურსით "სწავლის მეთოდები"(5 კრედიტი), თემატური სემინარის 1 და თემატური სემინარის 2 კრედიტების რაოდენობა შემცირდა და გახდა 5 კრედიტი.

პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან, განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ მიზნებთან,



ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სოციალური მიმართულებებით სწავლება და კვლევა 30 წელს ითვლის და დაწესებულებაში დაგროვებულია მდიდარი გამოცდილება. სადოქტორო პროგრამას „აგრარული ეკონომიკა“ ინტერდისციპლინური ბუნება აქვს. მასში ინტეგრირებულია ეკონომიკა და აგრარული მეცნიერებები. ამ ნიშნით იგი არის ერთადერთი სადოქტორო პროგრამა საქართველოში.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, პროგრამისა და მისი მიზნების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დოქტორანტები, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები, პროგრამის განმაცორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, დამსაქმებლები. ჩართულობა გამოიხატებოდა დაინტერესებული მხარეების ანკეტა-კითხვარის საშუალებით გამოკითხვით. ამასთან, შეიქმნა სადოქტორო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც რამდენჯერმე შეიკრიბა პროგრამის კურიკულუმზე მუშაობის მიზნით. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ხშირი და საქმიანი თანამშრომლობა საჯარო თუ კერძო სექტორიდან დამსაქმებლებთან (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრობიზნესით დაკავებული მეწარმეები) აკადემიურ წრეებთან (საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს უსდ-ების წარმომადგენლები). აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია გაფორმებული მემორანდუმები, ასევე, გამოხმაურების წერილები, სადაც დარგის ცნობილი სპეციალისტი, აკადემიკოსი და პროფესორები მაღალ შეფასებას აძლევენ სადოქტორო პროგრამას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ადასტურებს, რომ პროგრამის და მისი მიზნების შემუშავებისას შესწავლილი და გათვალისწინებულია ცნობილი უცხოური უმაღლესი განათლების დაწესებულებების მიდგომები და მათი გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება უცხოური უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმებით. ამასთან, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სხვადასხვა დროს იმყოფებოდა აშშ-ში (მინესოტას და აიოვას უნივერსიტეტები) და ჰოლანდიის უნივერსიტეტში აგრარული დარგის სწავლების გამოცდილების შესწავლის მიზნით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ დოქტორანტები და თავად ისინი აქტიურად ზრუნავდნენ საერთაშორისო თანამშრომლობის გაღმავლებაზე. სადოქტორო პროგრამის სტუდენტები საქმიანად იყენებენ არსებულ კონტაქტებს და მუდმივად ეძიებენ ახალს, რაშიც აქვთ ფაკულტეტის მხრიდან ხელშეწყობა. კვლევებში დოქტორანტები ითვალისწინებენ ანალოგიურ კვლევებს საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან და მათ სადისერტაციო ნაშრომებში ხდება თანამედროვე კვლევების ინტეგრირება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა. გამოკითხულთა უმრავლესობის (82.4%) მოსაზრებით „საქართველოში არსებული უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ კადრებს საჭირო ცოდნითა და უნარით“. როგორც აღმოჩნდა, დამსაქმებლებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მომავალი თანამშრომლის დიპლომი - სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტის მიერ იქნება გაცემული, თუმცა ისინი უპირატესობას ანიჭებენ აგრარული ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. ამასთან ერთად, დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ კადრის შერჩევისას პრიორიტეტულია მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის დიპლომის ქონა.

როგორც დამსაქმებლებთან (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან თამაზ კუნჭულია, ამავე სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრიდან ნოდარ ხატიაშვილი, აგრარულ სექტორში ფუნქციონირებადი ბიზნესის წარმომადგენელი-დავით გალგაშვილი) ინტერვიუს დროს გამოვლინდა, პროგრამის მიზნების (მთლიანად პროგრამის) შემუშავებისას მათთან ხშირი, საქმიანი და მჭიდრო თანამშრომლობითი ურთიერთობა ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელს. დამსაქმებლები ხაზს უსვამდნენ, რომ პროგრამის მიზნიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური საკითხების კვლევას. ამასთან, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრს, თავის მხრივ, ხშირი და საქმიანი ურთიერთობა აქვს სოფლის მეურნეობის აგრარულ მეცნიერებათა აკადემიასთან, სადაც პროგრამის ხელმძღვანელი მოღვაწეობს. ამგვარი საქმიანი კავშირების მეშვეობით ხდებოდა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში პოტენციური კვლევითი თემების განხილვა და უკუკავშირის მიღება. აღნიშნულ ცენტრში ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაიგზავნა სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები ექსპერტიზისა და შეფასებისთვის. დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ წვლილი შეიტანონ ცენტრის საქმიანობაში კონსულტაციების გაწევით და ანალიტიკური ნაშრომების მომზადებით, არსებობს დოქტორანტებისთვის ცენტრში კონსულტანტად დასაქმების შესაძლებლობებიც.

საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდზე [https://gtu.ge/Agro/Edu-Programs/Doctoral/agraruli%20ekonomika%20\(D\).pdf](https://gtu.ge/Agro/Edu-Programs/Doctoral/agraruli%20ekonomika%20(D).pdf) განთავსებულია 2020 წელს აკრედიტებული პროგრამა, ხოლო წინამდებარე პროგრამა განთავსდება ვებგვერდზე აკრედიტაციის მიღების შემდეგ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წ.წ. <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Agro/#>
- შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს (დისტანციური) შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №698 ბრძანებით შესაბამისად. პროგრამა შეესაბამება დოქტორანტურის დონეს, და პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს კომპეტენციებს, რომელიც მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სადოქტორო პროგრამაში განსაზღვრულია სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, რომელიც შესაძლებელია შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ფლობს აგრარულ საწარმოში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების განვითარების ეკონომიკურ პრობლემებს, წარმოების დანახარჯების, ეკონომიკური და ზღვრული ანალიზის, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების მეთოდებს და სხვა აქტუალურ საკითხებს.
- აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას, აგრარულ ბაზარზე ფასწარმოქმნის, კონკურენციისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის თავისებურებების, აღწარმოების, ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლებისა და აგრარული ეკონომიკის სხვა აქტუალურ საკითხებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარული სექტორის განვითარების მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს.
- აფასებს აგროსასურსათო სექტორის მდგომარეობას, მისი შემდგომი განვითარებისა და აგრარული სტრატეგიის სრულყოფის მიზნით.
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს დეპრესიული რეგიონების აგროსპეციალიზაციის გაღრმავებისა და განვითარების შესახებ; მიწის რაციონალური გამოყენებისა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მართვის შესახებ; სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტისათვის; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კრიტიკულად ანალიზებს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობას ქვეყნისა და რეგიონის დონეზე.
- ევროკავშირის სოფლის განვითარების კონცეფციებისა და პროგრამების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ბიოგეოკლიმატური პირობებისა და რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე, აყალიბებს სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის, განვითარების ახლებურ მიდგომებს.

- ამზადებს წინადადებებს სოფლისა და თემის სტატუსის, სოფლად მუნიციპალური (სათემო) საკუთრების და სოფლის მეურნის სტატუსის შესახებ. ახდენს სოფლის ინსტიტუციონალური და სოციალურ-კულტურული პრობლემების იდენტიფიცირებას.
- განავითარებს მიწათსარგებლობის მონიტორინგის სქემებს მათი ოპტიმიზაციისა და მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.
- იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს აგრარული ეკონომიკის დარგში არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში მყოფ ახალ ხედვებს, სტრატეგიებსა და კონცეფციებს.
- ანხორციელებს სწავლებას უახლესი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მათ სტრატეგიათა კომბინირებით, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გადაცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებების შედგენით, საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტთა ჩართვა/თანამონაწილეობის უზრუნველყოფითა და მათი შეფასების რელევანტური მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

**პროგრამაში წარმოდგენილი შედეგები არ არის გამოსახული დიფერენცირებული სახით, კერძოდ: არ არის გამოყოფილი კომპეტენციები ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, შესაბამისად შედეგების რუკაც უფრო რთული გასარკვევია.**

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება დარგის სპეციფიკას, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ერთადერთ პროგრამას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, ბაზარზე მეტად მოთხოვნილია და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი. პროგრამას მინიჭებული ქონდა ერთწლიანი აკრედიტაცია, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირება, რომელშიც აქტურად იყვნენ ჩართულები ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). მათთან შეთანხმებული იქნა კურსდამთავრებულთა საქმიანობის საზღვრები და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა თითოეული მათგანის როლი პროგრამის მოდიფიცირებაში და ის წინადადებები, რომლების გათვალისწინებული იქნა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მუშაობის პროცესში, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პირობითი აკრედიტაციის შემდეგ მოხდა რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები. კერძოდ: ვლევის მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, თემატური სემინარი. სრულად განახლდა შემდეგი სილაბუსები: სამეცნიერო კომუნიკაციები, სწავლების მეთოდები.

**აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგის ფორმირებისას სასურველია მოვერიდოთ ისეთ ზოგად ზმნებს, როგორცაა ფლობს, აქვს ცოდნა, იაზრებს და ა.შ. პროგრამის პირველი სწავლის შედეგის ფორმირებისას შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ზმნები ბლუმის ტაქსონომიიდან, მაგალითად, აანალიზებს, აფასებს, განსაზღვრავს, აჯამებს, გამოკვეთს, აყალიბებს, ახსნის და ა.შ.**

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს, მისი საშუალებით დგინდება თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტების კმაყოფილების კითხვარის შევსება, რომელიც არის ანონიმური და ივსება ელექტრონულად, ასევე ხდება ლექტორების შეფასებაც, ზოგჯერ ხდება სტუდენტების აზრის დაფიქსირება ანონიმურ ყუთში მათი წერილის მოთავსებით.

მიღებული ანონიმური შეფასებები და კმაყოფილების კითხვარი გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდეგი რეაგირებისათვის, შემდეგ კი ადმინისტრაცია ახორციელებს მონიტორინგს რამდენად შესრულდა სტუდენტთა მოთხოვნები.

თითოეული სწავლის შედეგისათვის პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები. ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ამ პროცესში მონაწილეობას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, აგრეთვე დარგის სპეციალისტები.

პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ასევე ახორციელებს სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). პირდაპირი შეფასების მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს.

არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების შეფასების და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე და განმახორციელებელი პერსონალი იცნობს სწავლის შედეგებს და შეფასების მეთოდებს. აქვთ მუდმივი მხარდაჭერა სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და შეფასების კუთხით. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი მიმდევრობა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Agro/#>
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სამიზნე ნიშნულები;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო კურსის სილაბუსებში და პროგრამაში გამოყოფილ იქნას ცალკ-ცალკე ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
- მოხდეს სადოქტორო პროგრამის პირველი სწავლის შედეგის სტილისტური კუთხით ცვლილება ბლუმის ტაქსონომიიდან შესაბამისი ზმნის გამოყენებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**



### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „აგრარული ეკონომიკა“ ჩარიცხვა რეგულირდება „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად. წარმოსადგენი დოკუმენტაცია და სხვა საჭირო ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას, კერძოდ:

ა) აგრარული ეკონომიკის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - „ეკონომიკა“; „აგრონომია“; „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია“; „სურსათის გადამამუშავება“; „მემცენარეობა და მეტყევეობა“, „მებაღეობა“, „მეთევზეობა“ შესაბამისი

განათლების, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს;

ბ) მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.);

გ) პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამა), სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება;

დ) პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება.

ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: [https://gtu.ge/Science/Doctorate\\_Department.php](https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php).

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

**დოქტორანტურაში ჩარიცხვისას გასაუბრების კრიტერიუმები ნათელი და გამჭვირვალეა:** კომისიას კონკურსანტის საანკეტო მონაცემებსა და სამოტივაციო წერილს საკვლევ თემასთან დაკავშირებით წარუდგენს დოქტორანტურის კოორდინატორი ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. სამოტივაციო წერილში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა. კონკურსანტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შერჩეულ თემაზე გაკეთებული მოხსენების და გასაუბრების საფუძველზე. მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 51 ქულას; შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით  $S=3.33 \times M$ , სადაც M არის ქვემოთ მითითებული ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. **კონკურსანტთან გასაუბრების კრიტერიუმებია:** 1. საკვლევ თემის სიახლის განმარტება და დასაბუთება - მაქსიმალური შეფასება 6 ქულა; 2. საკვლევ თემის აქტუალობის განმარტება და დასაბუთება - მაქსიმალური შეფასება 6 ქულა; 3. შერჩეული თემის სამეცნიერო ღირებულებების ლოგიკური დასაბუთება - მაქსიმალური შეფასება 6 ქულა; 4. შერჩეული თემის თეორიული/პრაქტიკული ღირებულებები- მაქსიმალური შეფასება 6 ქულა; 5. თემის წარდგენის უნარი- მაქსიმალური შეფასება 6 ქულა.

წარმოდგენილი მასალებითა და ინტერვიუების შედეგებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05- 04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი [http://gtu.ge/Science/doqt\\_charicxvis\\_pirobebi\\_2019.php?sphrase\\_id=282764](http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764);
- ფაკულტეტის ვებგვერდი <http://gtu.ge/Agro/>;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვისას გასაუბრების კრიტერიუმები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამის დონეს.

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის



სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა - 4 კრედიტი; სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი; კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში - 6 კრედიტი; სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები - 30 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი, თემატური სემინარი - 5 კრედიტი. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში არ იყო დაშვებული სავალდებულო სასწავლო კურსები: პროფესორის ასისტენტობა და თემატური სემინარი, ეს სასწავლო კურსები დაშვებულ იქნა აგრარულ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ მოიცავს აგრეთვე არჩევით სასწავლო კურსებს, რომლისთვისაც გამოყოფილია 5 კრედიტი. დოქტორანტი წარმოდგენილი ორი არჩევითი სასწავლო კურსიდან ირჩევს ერთს 5 კრედიტის ფარგლებში. სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი კურსები მიკრო და მაკრო ეკონომიკის კუთხით, თუნდაც 10 კრედიტის ფარგლებში. ეს გამოიწვევს პროგრამის სრულყოფას და მნიშვნელოვანი იქნება განსაკუთრებით იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ ეკონომიკის დარგის კურსდამთავრებულს.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი- 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა. დოქტორანტი კვლევითი კომპონენტების მომზადებას იწყებს მეორე სემესტრიდან: პროექტი/პროსპექტუსი; მესამე სემესტრი: კოლოკვიუმი - 1; მეოთხე სემესტრი: კოლოკვიუმი - 2; მეხუთე სემესტრი: კოლოკვიუმი -3; კოლოკვიუმების ჩაბარება ხდება დარგის სპეციალისტებით შექმნილ სპეციალურ კომისიის წინაშე, მაგრამ მისი შეფასების დროს არ იწერება ქულა, იწერება მხოლოდ „ჩააბარა“. კოლოკვიუმი -1 არის პრერეკვიზიტი კოლოკვიუმი-2-ის და კოლოკვიუმი 2 კი-კოლოკვიუმი-3 -ის. ერთ რომელიმე კოლოკვიუმში ვერ ჩააბარას მიღების შემთხვევაში დოქტორანტი არ დაიშვება მომდევნო კოლოკვიუმზე და შესაბამისად წინასწარ დაცვაზე.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ხელმისაწვდომობას და საჯაროობას, ყველა დაინტერესებული პირისთვის, უზრუნველყოფს ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამა.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა. პროგრამის განხილვა მიმდინარეობდა დეპარტამენტის სხდომაზე დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

- პროგრამის მოდიფიცირების პროცესში მონაწილე პირების მონაწილეობის ამსახველი ოქმები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი კურსები მიკრო და მაკრო ეკონომიკის კუთხით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში მოცემული ყველა სასწავლო კურსის შინაარსი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, დოქტორანტურის საფეხურის დონეს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და გამომდინარეობს კურსის მიზნიდან, სასწავლო კურსის შედეგებიდან კი აგებულია პროგრამის შედეგი.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მერვე საფეხურს, დოქტორანტურის დონეს. სასწავლო კურსები შერჩეულია დოქტორანტურის დონის შესაბამისად, როგორც კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სამეცნიერო თემატური სემინარი, სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სხვა.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი საათების რაოდენობა კრედიტების შესაბამისად, გაწერილია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. სილაბუსები აგრეთვე მოიცავს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. სასწავლო კურსებში

გამოყენებული სწავლის მეთოდებია ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა. თითოეული მეთოდი შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ გამოყენებულია მხოლოდ ლექციის მეთოდი, თუმცა დოქტორანტს აქვს შეფასება პრაქტიკულ მეცადინეობებში. პედაგოგთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ლექციას მსვლელობის დროს აქვს პრაქტიკული ხასიათი და რომ აუდიტორიაში ისინი ძირითადად პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ, თუმცა ეს ასახული არ არის სილაბუსში, არ არის პრაქტიკული მეცადინეობის საათები.

**სასურველია სილაბუსში იყოს წარმოდგენილი სემესტრის განმავლობაში თუ რამდენი საათი აქვს დათმობილი პრაქტიკულ მეცადინეობას.**

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; გამოყენებულია სამეცნიერო შრომები (მაგრამ არა ყველა სასწავლო კურსში), რომლებიც დაბეჭდილია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულებების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**სასურველია სამეცნიერო შრომები მითითებული იყოს უფრო მეტ სასწავლო კურსებში.**

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსისათვის „აგრარული ეკონომიკა - თანამედროვე ტენდენციები“ რამდენიმე სასწავლო ლიტერატურა სწორედ ამ სასწავლო კურსისთვის შექმნა ხელმძღვანელმა. ლიტერატურა, რომელიც მოცემულია სილაბუსებში ხელმისაწვდომია სტუ-ის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული კატალოგების საშუალებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- გამოკითხვის შედეგები;
- სტუ-ის ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სილაბუსებში აისახოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ინტერაქტიული პრაქტიკული მეცადინეობები.
- საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტ სასწავლო კურსში მოხდეს დარგში სამეცნიერო შრომების მითითება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამოქვეყნებას, კერძოდ: **სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შინაარსობრივად მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებას პედაგოგიური საქმიანობის კუთხით.**

დოქტორანტი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში: ამზადებს სამეცნიერო სტატიებს და აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალებში, რომელიც შედის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ნუსხაში. დოქტორანტს დაცვაზე დაშვების წინ გამოქვეყნებული უნდა ქონდეს სამი სამეცნიერო სტატია თუმცა, სავალდებულო არ არის გამოაქვეყნოს ისეთ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ან კონფერენციათა მასალების კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში. ამასთან, დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტს წარდგენილი უნდა ჰქონდეს მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე: „...დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება)...“

სასურველია, ზემოთ აღნიშნული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული ისეთ ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში. ეს გაზრდის დოქტორანტთა კვლევის შედეგების ხილვადობას და აღიარებას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში, გააძლიერებს დაწესებულების ინტერნაციონალიზაციას.

დოქტორანტი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციასა თუ სემინარში. უნივერსიტეტი დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ აქტიურად არიან ჩართულები საგრანტო პროექტებში და სხვადასხვა კვლევებში. უნივერსიტეტის აფინანსებს

**დოქტორანტთა სტატიებს და კონფერენციებში მონაწილეობას.**

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და პუბლიკაციების მომზადებაში მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად.

დოქტორანტები იღებენ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი, საგრანტო კონკურსის პირობები და ვადები, და სხვა მათთვის საჭირო ინფორმაცია).

ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი, და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- დოქტორანტურის დებულება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;
- საერთაშორისო კონფერენციების შრომათა კრებულები;
- სამეცნიერო კონფერენციები;
- ინტერვიუ დოქტორანტებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სავალდებულო გახდეს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება Scopus-ში ან Web of Science -ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში/კონფერენციათა მასალების კრებულში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დემონსტრირება, შემთხვევების შესწავლა (Case study), ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, გონებრივი იერიში (Brain storming), პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით.

პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული დოქტორანტისთვის დეგმა პერსონალური სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლექცია-სემინარების კომისიის მიერ შეფასების კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ფასდება: იყენებს თუ არა ლექტორი სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, უზრუნველყოფს თუ არა სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას ლექცია-სემინარის მსვლელობის პროცესში, კოორდინაციას უწევს თუ არა დისკუსიის პროცესის მიზანმიმართულ წარმართვას და სხვ.

დაწესებულება იყენებს სტუდენტების გამოკითხვის მეთოდს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ადეკვატურობის დასადგენად. აღნიშნული კითხვარის საშუალებას აძლევს დოქტორანტს, შეაფასოს, თუ რამდენად იყენებდა პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს, იღებდა თუ არა პედაგოგისაგან კონსულტაციებს და უკუკავშირს, რამდენად მიაღწია სტუდენტმა სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების საშუალებით და სხვ.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ (დისტანციური) ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf>



<ul style="list-style-type: none"> <li>○ ლექცია-სემინარების კომისიის მიერ შეფასების კითხვარი</li> <li>○ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი;</li> <li>○ დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა <a href="http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf">http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf</a>;</li> <li>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ან მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.</p> <p>სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის პროგრესის პერიოდული შეფასება. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება სტუ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების თანახმად შესაბამისი კომისიის მიერ. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის მონაწილეობით. ნაშრომის დაცვა არის საჯარო. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამიდან, სილაბუსებიდან, კონკრეტული საგნის პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან.</p>

უკუკავშირი უზრუნველყოფილია სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზით. მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთ სტუ-ის ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ აძლევს მათ საშუალებას გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით. შეფასების შედეგების ანალიზის შემდგომ შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება: დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია <https://gtu.ge/StudyDep/Forms/Forms.php>

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

**სადისერტაციო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე დაწესებულებაში მოქმედი პლაგიატზე შემოწმების წესის შესაბამისად.**

ადასნიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების განახლებული წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისათვის). აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია, თუ რას მოიცავს კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი, კოლოქვიუმი, დისერტაციის წინასწარი დაცვა, დისერტაციის საჯარო დაცვა. ამასთან, ამავე დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს სადოქტორო პროგრამის სასწავლო და ზემოთ აღნიშნული კვლევითი კომპონენტების შეფასება. აქვე გაწერილია, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების დეტალური კრიტერიუმები:

1. სადისერტაციო თემის აქტუალურობა - მაქსიმალური შეფასება 5 ქულა (მაქსიმუმ 15 ქულა 3xM);
2. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე - მაქსიმალური შეფასება 9 ქულა (მაქსიმუმ 18 ქულა 2xM);



<p>3. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება - მაქსიმალური შეფასება 9 ქულა;</p> <p>4. სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემისა და მისი გადაწყვეტის წარმოჩენა - მაქსიმალური შეფასება 8 ქულა (მაქსიმუმ 25 ქულა 3.125xM);</p> <p>5. პასუხები დასმულ შეკითხვებზე - მაქსიმალური შეფასება 6 ქულა (მაქსიმუმ 18 ქულა 3xM);</p> <p>6. მასალის ვიზუალური წარმოდგენა -მაქსიმალური შეფასება 3 ქულა (მაქსიმუმ 6 ქულა 2xM).</p> <p><b>ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია დისერტაციის შეფასების ბიულეტენის ფორმა და დისერტაციის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმის ნიმუში.</b></p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სადოქტორო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“ და სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>○ სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ინტერვიუ (დისტანციური) ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;</li> <li>○ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ <a href="https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php">https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php</a>;</li> <li>○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები <a href="http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf">http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf</a>;</li> <li>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება <a href="http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/doqdebuleba_081118_SD.pdf">http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/doqdebuleba_081118_SD.pdf</a>;</li> <li>○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი <a href="https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2019.pdf">https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2019.pdf</a>;</li> <li>○ დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა <a href="http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf">http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf</a>;</li> <li>○ სტუ-ის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა <a href="https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info">https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info</a>;</li> <li>○ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი <a href="https://gtu.ge/News/13613/">https://gtu.ge/News/13613/</a>;</li> <li>○ სტუ-ში პლაგიატზე შემოწმების წესი;</li> <li>○ სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციას და დახმარებას სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისათვის, კარიერული განვითარებისათვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის პროგრამის ხელმძღვანელისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან და აკადემიური პერსონალისგან. პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელების დაგეგმვა ხელმძღვანელთან კონსულტირების საფუძველზე ხდება. ხელმძღვანელთან კონსულტაციებით დოქტორანტი წინასწარ განსაზღვრავს სამუშაო გეგმას, რათა ყველაფერი შეასრულოს დადგენილ ვადებში.

დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. ინტერვიუების დროს დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ დიდი წვლილი შეიტანა მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში.

სტუდენტთა სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის თეზისები უნივერსიტეტის დაფინანსებით იბეჭდება კრებულის სახით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა სამეცნიერო - კვლევით ინიციატივებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მათ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს ეძლევათ კვლევის განხორციელების შესაძლებლობა სხვა ქვეყანაში და ხელმძღვანელის წარდგინებით უნივერსიტეტი აფინანსებს მათ მივლინებას, თუ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია მათი კვლევისათვის.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია სიახლეების შესახებ. ასევე, შესაძლებელია ლექციების განრიგის მოძებნა და სურვილის შემთხვევაში, მათი ავტომატური შეხსენება. გარდა ამისა, ელექტრონული ჟურნალის აპლიკაცია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სწრაფ გაცნობასა და სასწავლო კურსის პედაგოგთან შეტყობინების საშუალებით კომუნიკაციის დამყარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუ შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია სიახლეების შესახებ. ასევე, შესაძლებელია ლექციების განრიგის მოძებნა და სურვილის შემთხვევაში, მათი ავტომატური შეხსენება. გარდა ამისა, ელექტრონული ჟურნალის აპლიკაცია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სწრაფ გაცნობასა და სასწავლო კურსის პედაგოგთან შეტყობინების საშუალებით კომუნიკაციის დამყარებას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. აგრეთვე ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის, ცენტრის) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

სადისერტაციო საბჭომ აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ - ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

სამეცნიერო ხელმძღვანელები/თანახელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტებთან, რაც მოიცავს სამეცნიერო რჩევების მიცემას, დახმარებას, დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას, ხელშეწყობას საკვალიფიკაციო ნაშრომის წერის პროცესში, დახმარებას სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის პროცესში და სხვა. ხელმძღვანელთან დოქტორანტისათვის განკუთვნილი კონსულტაციების დრო და ადგილი განთავსებულია შესაბამის დეპარტამენტებში. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია საკვლევი თემის სპეციფიკაზე და დოქტორანტის საჭიროებებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების წესი;
- დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	<input checked="" type="checkbox"/>			

ინდივიდუალური მუშაობა				
-----------------------	--	--	--	--

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების გაცნობა ადასტურებს, რომ „აგრარული ეკონომიკის“ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები (რასაც დასტურდება გამოცემული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო სტატიებით, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრეინინგებში მონაწილეობით),

პროგრამაში ჩართულია 10 პერსონალი. აქედან, აკადემიური პერსონალია 7 (70%), სამეცნიერო პერსონალი - 3 (30%). პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პერსონალი. **თუმცა, ინტერვიუების დროს იყო წარმოდგენილი მოწვეული პერსონალი, რომელიც უძღვებოდა ერთ-ერთ სასწავლო კურსს და ასევე, აღინიშნა, რომ მათ ჰყავთ მოწვეული დოქტორანტების სამეცნიერო თანახელმძღვანელებიც.**

აკადემიური პერსონალიდან 4 პროფესორია, მათ შორის, ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აქვს 3 პერსონალს, ხოლო 1 -ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია; ასოცირებული პროფესორია - 3 პერსონალი, მათ შორის, ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს 2-ს, ხოლო 1 არის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მთლიანობაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალიდან 5-ს აქვს ეკონომიკის მიმართულებით აკადემიური ხარისხი. ყველა აკადემიურ პერსონალს დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება. სალექციო/სასემინარო საათების გარდა გათვალისწინებულია მათი დატვირთვა დოქტორანტებთან სასწავლო კურსებით, კონსულტირებით და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობით. ამდენად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური და სამეცნიერო), მათ შორის, ბალანსი



ძირითადად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევას და პროგრამის მდგრადობას. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომა საჭიროების შემთხვევაში პროგრამა ახდენს საათობრივი წესით დარგში მაღალკვალიფიციური პერსონალის მოწვევას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და იგი უშუალოდ არის აქტიურად ჩართული მის განხორციელებაში. პროგრამას ხელმძღვანელობს აგრარული ეკონომიკის დარგის აღიარებული მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის ორგანიზებას, დოქტორანტს დახმარებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებასა და მდგრადობაზე. კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს, მათ შორის, სასწავლო კურსების/კომპონენტების განაწილებას.

გარდა წარმოდგენილი აკადემიური პერსონალისა პროგრამას ემსახურება 8 პერსონალი, რომელიც ძირითადად არის დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი (ან თანახელმძღვანელი). დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, შესაბამისი კვალიფიკაციის და მაღალი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე, სტუ-ის შესაბამისი აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, აგრეთვე, სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი, ასევე სხვა (პარტნიორი, რომელთანაც გაფორმებულია მემორანდუმი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი. აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობითა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატების დოქტორანტურის დეპარტამენტში წარედგინების შემდგომ რექტორი გამოსცემს ბრძანებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი დოქტორანტების მუშაობს პროცესში. კერძოდ, უწევენ კოსულტაციებს. ეხმარებიან სადისერტაციო ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურისა და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების პროცესში. ხელმძღვანელთან დოქტორანტისათვის განკუთვნილი კონსულტაციების დრო და ადგილი განთავსებულია შესაბამის დეპარტამენტებში და ფაკულტეტის ვებგვერდზე. ასევე, კომინიკაცია ხორციელდება ელექტრონული ფორმით, კერძოდ, ელ.ფოსტით და Zoom-ის საშუალებით. კონსულტაციის სიხშირე დამოკიდებულია დოქტორანტის საჭიროებასა და საკვლევი თემის სპეციფიკაზე. სამეცნიერო ხელმძღვანელის ვალდებულებებს დეტალურად განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამას ემსახურება 96 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც ახდენს პროგრამაზე არსებული სტუდენტების სრულყოფილ მომსახურებას.

**მიუხედავად დადებით შეფასებისა, ექსპერტთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს, რომ**

<p>პროგრამა პერსპექტივაში გაძლიერდეს მოწვეული პერსონალით, რაც უფრო მეტად გაამდიდრებს პროგრამას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ მონაცემები;</li> <li>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;</li> <li>• ინტერვიუ (დისტანციური) ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან;</li> <li>• სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების წესი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა პერსპექტივაში გაძლიერდეს მოწვეული პერსონალით, რაც უფრო მეტად გაამდიდრებს პროგრამას.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ატარებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. მიღებული შედეგებს აქტიურად იყენებს აკადემიური და სამეცნიერო პროფესიული განვითარებისთვის. წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვის და პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის</p>

შედეგები. გამოკითხვები ძირითადად ტარდება ელექტრონული ფორმით. ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ უსდ-ს ასევე, აქვს ხმის მიცემის აპარატურა, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს საშუალება აქვს ანონიმურად მოახდინოს როგორც პედაგოგის, ასევე, სასწავლო კურსის შეფასება.

შეფასებების შედეგად მიღებული ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაცია ახდებს შესაბამის რეაგირებას, რომელიც ორიენტირებულია სწავლისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. შეფასება ხორციელდება რეგულარულად ყოველ სემესტრში, ასევე ჯამდება ორივე სემესტრის შედეგებიც.

**ინტერვიუების დროს დაადგინდა, რომ დოქტორანტები გამოკითხვებსა და შეფასებებში ღებულობენ მონაწილეობას, თუმცა, ზოგიერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა (ნაკლებინფორმირებული იყო). ექსპერტების მოსაზრებით სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა აღნიშნულ შეფასებებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, რათა შეფასება იყოს უფრო რელევანტური, სწავლების ხარისხისა და მომსახურების ამაღლებაზე ორიენტირებული.**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უსდ ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელებიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას. ამას ასაბუთებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმაც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება მეტწილად დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის განვითარებაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უსდ ხელს უწყობს პერსონალის პროფესიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება; კომუნიკაცია და კოგნიცია. უსდ-ს გააჩნია პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური-ტექნიკური ბაზა - სტუ-ის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სასწავლო-კვლევითი აქტივობებისთვის აუცილებელი გარემო.

პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასა და მუშაობაში. მათ აქვთ მიღებული სხვადასხვა ტრენინგების საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის სერთიფიკატები. ნაყოფიერია პერსონალის სამეცნიერო მუშაობა, რაც დასტურდება მათ მიერ გამოცემული ნაშრომებით, კერძოდ, ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სხვა სამეცნიერო, თუ სასწავლო მასალები.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი და მათ შორის, ფაკულტეტი ხელს უწყობს და ფინანსურად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ვორკშოპებში,



ტრენინგებსა და გამოფენებში. ასევე, სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და კვლევების ხელშეწყობაზე.

პერსონალის წახალისებისთვის უსდ იყენებს საბონუსე სისტემას, კერძოდ, უნივერსიტეტში შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რომელთაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, ევალუბათ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის შეფასება, კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ მონაცემები;
- ინტერვიუ (დისტანციური)ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) დაცემის წესი და პირობები, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №7, 17.02.2017.
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 დადგენილება

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა მოახდინოს სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

საბონუსე სისტემა პერსონალის წახალისებისთვის, კერძოდ, უნივერსიტეტში შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები ახდენენ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის შეფასებას და დაგროვილი ქულების შემთხვევაში გაიცემა ბონუსი (სახელფასო დანამატი).

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი და მათ შორის, ფაკულტეტი უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები, სასწავლო ინვენტარი, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია როგორც სასწავლო კომპონენტების ასევე, კვლევის განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გადმოგზავნილ ფოტოებს და ვიდეოს, რომელზეც ასახული იყო სამუშაო სივრცეები და ტექნიკური აღჭურვილობები, ასევე განხორციელდა პირდაპირი ჩართვა zoom-ის საშუალებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ცენტრალური ბიბლიოთეკისა, ასევე ფაკულტეტსაც გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი ზრდადია უახლესი ლიტერატურით. სასწავლო კურსებით განსაზღვრული ლიტერატურა ემყარება დარგის აქტუალურ მიღწევებს. დოქტორანტებისთვის ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ფაკულტეტის, ასევე, სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვს ისარგებლონ ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. უზრუნველყოფილია წვდომა EBSCO-ს პაკეტი შემავალ ბაზებზე. ბაზა ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის ნებისმიერი ადგილიდან. მათ, აგრეთვე, შესაძლებლობა აქვთ შეუკვეთონ სასურველი ბეჭდური მასალა ბიბლიოთეკას (60 გვერდის ფარგლებში) და მიიღებენ სკანირებულ ვერსიას. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგია: სამუშაო დღეებში - 10.00-22.00 საათი, ხოლო შაბათ-კვირას 10.00-16.00 საათი. ამდენად, სამუშაო საათები ხელსაყრელია დოქტორანტების მუშაობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დიდი ისტორიის მატარებელია, არის კონსორციულის წევრი, აქვთ მდიდარი სამუშაო გამოცდილება, პროფესიონალი პერსონალი. ბიბლიოთეკაში მუშაობის საუკეთესო პირობებია, იგი უზრუნველყოფილია კაფით, საკვები ობიექტითა და მოსასვენებელი სივრცით, რაც საუკეთესო გარემოს ქმნის მუშაობისთვის. აქვს ელექტრონული კატალოგი და სამკითხველო დარბაზში, ტექნიკური აღჭურვილობა (100 კომპიუტერი, ქსეროქსი, სკანერი და სხვა).

<p>ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებენ სწავლების ყველა საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებთან, კერძოდ, სთავაზობენ ტრენინგებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით, კონკრეტულად, განიხილავენ შიდა ბაზების მუშაობის, ასევე საერთაშორისო საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენების წესებს. ამდენად, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>საინფორმაციო მეხვედრები და ტრენინგები სწავლების ყველა საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად. უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან, საიდანაც ფაკულტეტს გამოეყოფა (პროცენტულად) თანხა. განაწილებულ ფინანსებს ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).</p> <p>პროგრამის ბიუჯეტი 10 დოქტორანტზეა გათვლილი. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ</p>

პროგრამა საგანმანათლებლო ბაზარზე მოთხოვნადია. პროგრამაზე ამჟამად აქტიურია მხოლოდ 6 დოქტორანტი. მიუხედავად მოთხოვნისა, პროგრამაზე ყოველწლიურად საშუალოდ 3-4 კანდიდატის მიღება წარმოებს. პროგრამის შემოსავლები ძირითადად დოქტორანტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია, ხოლო დამატებითი ხარჯები ძირითადად ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პროგრამა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური და ხარისხიანი კადრების მომზადებაზე. ამასთან აღინიშნა, რომ პროგრამის დოქტორანტები კვლევებისთვის შედარებით ნაკლებ ფინანსებს საჭიროებენ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტს გააჩნია საჭირო ფინანსური რესურსები (მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსება პრიორიტეტულ დარგებში) და აქვს მზადყოფნა სამეცნიერო, სამივლინებო, თუ სხვა სახის დაფინანსებით დაეხმარონ დოქტორანტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- „აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის“ ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ ბიუჯეტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p><b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b></p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება.</p> <p>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად პრინციპებს.</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ მიხედვით ხორციელდება პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.</p> <p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და პროფესორ - მასწავლებელთა შეფასებას; კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას; დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას; აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და სპეციალური კომისიის მიერ ლექცია/სემინარის შეფასებას. თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა გამოკითხვების პროცესში მინიმალურია და კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი შეიმუშავებს რამე მექანიზმს რათა უფრო აქტიური გახდეს მათი მონაწილეობა გამოკითხვებში.</p> <p>უნივერსიტეტში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ასახავს სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს. ასევე, განსაზღვრულია შეფასების პროცედურები, შეფასების ფორმები და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი შეფასებების შედეგები და პრეტენზიის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის დეკანს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"> <li>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;</li> <li>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;</li> <li>○ გამოკითხვის ფორმები;</li> <li>○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ - გვერდი;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b>
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> <p>აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ამჟამად იყენებს მხოლოდ ადგილობრივ, სავალდებულო - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს (ავტორიზაცია, პროგრამული აკრედიტაცია და რეაკრედიტაცია).</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 4 მაისის N361579 გადაწყვეტილებით აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.</p> <p>ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია.</p> <p>აღსანიშნავია, რომ აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო დადებითი შეფასება და გამოხმაურება გარე ექსპერტებისგან.</p>
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 4 მაისის N361579 გადაწყვეტილებით აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირობითი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე;</li> <li>○ კოლეგიალური შეფასებები/გამოხმაურებები;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებებისათვის გამოიყენება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება; პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ; პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულების მიერ; პროგრამის შეფასება სტუდენტის მიერ.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემების დამუშავებას, გაანალიზებას და შეფასებას, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს მიღებული შედეგების გაუმჯობესების გეგმები.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასაც, რისთვისაც ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.</p> <p>პროგრამების განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აღმოჩენილი პრობლემების მოგვარებისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად</p>
--

საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისაგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და პროფესორის შეფასების კითხვარი;
- კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;
- დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;

ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)  
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:  
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:  
 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42



პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ია ნაცვლიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის


სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინა ჩავლეიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა კველიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანუელა აბულაძე

ანუელა აბულაძე